სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 18

2018 წ. "20" 11

ქ.თბილისი

შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 08 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1442442) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს №1442442 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი